სამოქალაქო საზოგადოება

ინოვაციებისა და სამოქალაქო განვითარების ცენტრი „პროგრესის სახლი“

საგაზეთო ჩანართი №10, 2023 წ.

თქვენ წინაშეა საგაზეთო ჩანართი, რომელიც მომზადებულია პროექტის – **„მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლება დემოკრატიული პროცესების მხარდასაჭერად“** ფარგლებში. პროექტს ახორციელებს **ოზურგეთის ინოვაციებისა და სამოქალაქო განვითარების ცენტრი – პროგრესის სახლი.**

გამოცემაში პერიოდულად წარმოგიდგენთ პუბლიკაციებს, სხვადასხვა დროსა და სივრცეში შექმნილ ნაშრომებს სამოქალაქო საზოგადოებისა და დემოკრატიული ღირებულებების შესახებ. ჩვენი მიზანია, მკითხველს წარმოვუდგინოთ ქართველი და უცხოელი ავტორების მოსაზრებები სამოქალაქო ფასეულობების როლსა და მნიშვნელობაზე

პროექტის გუნდი.

არჩევნების შედეგების დაცვის მექანიზმები არჩევნებამდე და არჩევნების დღეს

ნაწილი მეორე

ყველაფერი ამომრჩევლის ხელთაა

„პროგრესის სახლმა” საარჩევნო კანონის ცვლილებებზე, არჩევნების მექანიზმებზე, მისი გაუმჯობესების მიმდინარე პროცესებზე სასაუბროდ მოიწვია ბატონი ვახტანგ ხმალაძე, კონსტიტუციონალისტი, აკადემიური დოქტორი (თეორიული ფიზიკა). *დასაწყისი იხილეთ: „სამოქალაქო საზოგადოება” № 9*

სასურველი და გადადებული ცვლილებები კანონში

საარჩევნო ზღურბლი და დაკარგული ხმები

ძირითადად, მსოფლიოში ზღურბლი არის 3-დან 5%-მდე. მან **ორი ამოცანა უნდა გადაწყვიტოს:**

პირველი – პარლამენტი არ უნდა იყოს ძალიან ჭრელი, რადგან ძალიან რთული იქნება, შესაძლოა შეუძლებელიც გახდეს, სტაბილური საპარლამენტო უმრავლესობის შექმნა. ეს ძალიან გაართულებს კანონების მიღებას და სტაბილური მთავრობის არსებობას. მთავრობების ხშირი ცვლა კი შეუძლებელს გახდის მიზანმიმართული პროგრამების შესრულებას, რაც სჭირდება ქვეყნის განვითარებას. ამიტომ დაწესდა ზღურბლი, რომელიც არ უნდა იყოს ძალიან დაბალი;

და მეორე – პარლამენტში წარმოდგენილი უნდა იყოს მოქალაქეთა დიდი უმრავლესობა. ეს კი მოხდება იმ შემთხვევაში, თუ „დაკარგული ხმები”- ხმები, რომლებიც მიიღო პარტიამ და ვერ გადალახა ზღურბლი, - არ იქნება ბევრი. ამისათვის საჭიროა, რომ ზღურბლი არ იყოს ძალიან მაღალი. წინააღმდეგ შემთხვევაში, დაკარგული ხმები იმდენად ბევრი იქნება, რომ პირველ ადგილზე გასულმა პარტიამ თუნდაც მიიღოს ხმების 40 %, მის მიერ მიღებული ხმების ეფექტური პროცენტი იქნება 50%-ზე მეტი. პარტიას 40 პროცენტზე მეტი მხარდაჭერა არ აქვს, მაგრამ, მას პარლამენტში ეყოლება წევრთა ნახევარზე მეტი. ესე იგი **გვექნება ერთპარტიული უმრავლესობა და ერთპარტიული პარლამენტი - ამას იწვევს მაღალი ზღურბლი.**

საქართველოში, 1995 წელს 5%-იანი ზღურბლი სულ გადალახა სამმა პარტიამ – მოქალაქეთა კავშირი (ე. შევარდნაძე), აღორძინება (ა. აბაშიძე), ეროვნულ-დემოკრატიული პარტია (ი. სარიშვილი-ჭანტურია), ამ უკანასკნელმა ძლივს გადალახა ზღურბლი. **მოქალაქეთა კავშირმა, რომელმაც მიიღო ნახევარზე ბევრად ნაკლები ხმა, ერთპარტიული უმრავლესობა შექმნა პარლამენტში დიდი რაოდენობის დაკარგული ხმების გამო.**

5%-იანი ზღურბლის შენარჩუნების შემთხვევაში დღევანდელი მონაცემებით, პარლამენტში შეიძლება აღმოჩნდეს მაქსიმუმ 3 პარტია, გარანტირებულად კი – მხოლოდ ორი, ქართული ოცნება და ერთიანი ნაციონალური მოძრაობა. უახლესი გამოკითხვებით, მესამე სუბიექტს 10-12 მანდატი ექნება და ის რეალურ გავლენას ვერ მოახდენს პარლამენტში მიმდინარე პროცესებზე და **კვლავ ქართული ოცნების ერთპარტიული უმრავლესობა შენარჩუნდება.** დღევანდელი მონაცემებით, გვექნება ერთპარტიული საპარლამენტო უმრავლესობა და ისეთივე ვითარება, როგორიც არის დღეს.

დღევანდელი მონაცემებით, პარლამენტი რომ არ იყოს ზედმეტად „ჭრელი” და, იმავდროულად, არ „დაიკარგოს” ბევრი ხმა, რაც უზრუნველყოფს იმას, რომ აღარ გვქონდეს ერთპარტიული უმრავლესობა, საარჩევნო ზღურბლის გადალახვა ხუთიდან შვიდმა პარტიამ უნდა შეძლოს. ამისათვის კი, საარჩევნო ზღურბლი უნდა იყოს არაუმეტეს 3%-ისა, შესაძლოა 2%-იც, რადგან რისკის ზონაა 2-დან 3 პროცენტამდე.

შარლ მიშელის შეთანხმება ითვალისწინებდა 2%-იან ზღურბლს. სამწუხაროდ, ამ შეთანხმებას, ჯერ „ნაციონალებმა” არ მოაწერეს ხელი, შემდგომ კი მათ ხელი მოაწერეს, მაგრამ „ოცნება” გამოეთიშა.

ახლა არის მხოლოდ ერთი გამოსავალი – **პარტიებმა, რომლებსაც აქვთ ამის პერსპექტივა, ყველაფერი გააკეთონ 5%-იანი მხარდაჭერის მისაღებად, იმუშაონ ლამის ოცდაოთხსაათიანი დატვირთვით მთელი წლის განმავლობაში. თუ ეს მოახერხა ერთმა-ორმა პარტიამ, მაშინ დაკარგული ხმები არ იქნება ძალიან ბევრი და პარლამენტში არ გვექნება ერთპარტიული უმრავლესობა.** ეს არის შესაძლებელი, თუმცა როგორია ამის ალბათობა, ეს სხვა საკითხია.

საარჩევნო ისტორიამ, მათ შორის, საქართველოში, იცის შემთხვევები, როცა წინასაარჩევნოდ მკვეთრად შეცვლილა პარტიის მხარდაჭერა, მაგალითად, 2003 წელს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის რეიტინგი იმდენად გაიზარდა უშუალოდ არჩევნების წინ, რომ მათ უკვე გაუჩნდათ პრეტენზია, რომ გამარჯვებულის პირველი თუ არა, მეორე ადგილი მაინც ჰქონდათ.

2024 წელს, არჩევნების შედეგების შეჯამებისას დაითვლება მხოლოდ ე.წ. ნამდვილი ბიულეტენები, ანუ სწორად შევსებული ბიულეტენები. მაგალითად, თუ არჩევნებზე მივიდა 2,1 მილიონი ამომრჩეველი, მაგრამ 100 ათასი ბიულეტენი გაბათილდა, პარტიების მიერ მიღებული ხმების დათვლისას მხედველობაში მიიღება მხოლოდ 2 მილიონი ამომრჩევლის მიერ მიცემული ხმები. ამის მიხედვით გამოითვლება პარტიების მიერ მიღებული ხმების პროცენტი. ამის შემდეგ მანდატები განაწილდება მხოლოდ იმ პარტიებს შორის, რომლებმაც გადალახეს საარჩევნო ზღურბლი, დანარჩენი პარტიებისთვის მიცემული ხმები (ე.წ. „დაკარგული ხმები”) კი პროპორციულად გადაუნაწილდებათ ამ პარტიებს.

ვთქვათ, პირველ ადგილზე გასულმა პარტიამ მიიღო ნამდვილი ხმების **40%**. თუ „დაკარგული ხმების” რაოდენობა **200 ათასია**, ეს პარტია მიიღებს **67** მანდატს, მაგრამ თუ „დაკარგული ხმების” რაოდენობა **500 ათასია**, ეს პარტია მიიღებს **80** მანდატს და პარლამენტში მას **ექნება ერთპარტიული უმრავლესობა**. ეს მაგალითი გვიჩვენებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია, რომ „დაკარგული ხმები” ბევრი არ იყოს.

ძალიან კარგი იქნება, უზრუნველყოფილ იქნეს საქართველოდან ემიგრაციაში წასული ამომრჩევლის მონაწილეობა. დღეს ემიგრანტია ჩვენი საარჩევნო კორპუსის 30%-ამდე, დაახლოებით ერთ მილიონამდე ამომრჩეველი.

რაც მეტი იქნება ამომრჩევლის აქტიურობა, მეტია ალბათობა იმისა, რომ ჩვენ არ გვყავდეს პარლამენტში ერთპარტიული უმრავლესობა, შესაბამისად ერთპარტიული მთავრობა.

მნიშვნელოვანია, ამომრჩევლებმა კარგად გავარკვიოთ, ვინ რას წარმოადგენს. თუ არ მომწონს არც მოქმედი და არც ყოფილი ხელისუფლება ანუ არც ქართული ოცნება და არც ნაციონალური მოძრაობა, არ უნდა ვთქვა, რომ არ წავალ არჩევნებზე. არამედ **კარგად უნდა დავაკვირდე დანარჩენ პარტიებს, მათგან შევარჩიო ის, ვინც სხვებზე მეტად უპასუხებს ჩემს სურვილებს, მივიდე არჩევნებზე და მას მივცე ხმა. თუ ეს არ გავაკეთეთ, მივიღებთ ყველაზე ცუდ შედეგს – ერთპარტიულ უმრავლესობას.**

ყველაფერი ამომრჩევლის ხელთაა

პრობლემა არის ზოგადად, მთლიან პოლიტიკურ სისტემაში და ამ სისტემის ჩამოყალიბების წესში

უფრო ღრმად თუ წავალთ, პრობლემა არის თვითონ საზოგადოებაში, რომლისთვისაც აღარ არის მიუღებელი და უჩვეულო არაკანონიერი მოქმედება, სხვის ჭკუაზე სიარული ხელისუფლების კეთილგანწყობის სანაცვლოდ, იქნება ეს მატერიალური სარგებელი თუ რაიმე სხვა. მაგალითად, პატიმრების ან გასამართლების, გამოძიების ეტაპზე მყოფების ახლობლებს ჰპირდებიან დაკავებულის სასჯელის შემსუბუქებას ხმების მობილიზების სანაცვლოდ. არის მოსყიდვის სხვა შემთხვევებიც. ასეთი ქცევა უკანონოა, მაგრამ **მთავარი პრობლემა ჩვენშია - მე თუ ვერ მომისყიდი, ქრთამს არ ავიღებ, ვერ შემაშინებ, თუ არ მინდა უკანონოდ მოქცევა, რამდენიც გინდა მომთხოვოს ხელისუფლებამ, არ დავყვები მას და ყველაფერი იქნება წესრიგში.** მაგრამ თუ მზად ვარ დავემორჩილო ხელისუფლების მოთხოვნას, შიშის, მატერიალური ან რაღაც სხვა სარგებლის გამო, ჩემი გადაბირება იქნება ძალიან ადვილი.

გვაქვს დაახლოებით 4 ათასამდე საუბნო კომისია 13 წევრით. სულ 52 000 ათასი წევრი. ამათგან ნახევარზე მეტი თუ იქნა პატიოსანი, კეთილსინდისიერი, მაშინ ამ კომისიების გადაწყვეტილებები იქნება სამართლიანი, მაგრამ ვხედავთ, რომ ასე არ არის. გამოდის, რომ ამ 26 ათასს, ჩვენი საზოგადოების წევრებს, ჩვენ არ ვენდობით... სამწუხაროდ, ჩვენს საზოგადოებაში ასეთი ადამიანები არიან ძალიან ბევრი. **ეს ადამიანები ვერ ხვდებიან, დღეს რომ მან მოიპოვა რაღაცა სარგებელი თავისი უწესო მოქმედების გამო, ხვალ შეიძლება თვითონ აღმოჩნდეს დაზარალებული**. ხვალ შეიძლება კომისიის სხვა წევრი მოიქცეს მასავით, ხოლო თვითონ აღარ იყოს კომისიაში. **ასეთი ქცევით ჩვენივე ხელით ვითხრით საფლავს ჩვენთვის და ჩვენი შვილებისათვის**.

ამიტომ, არჩევნების დანიშვნიდან ორი თვე არის უაღრესად მნიშვნელოვანი. მანამდეც, მაგრამ ამ ორ თვეში ხდება ინტენსიური აგიტაცია, შეხვედრები ამომრჩევლებთან, მათი მობილიზება მხარდასაჭერად. ამ დროს იწყებს მუშაობას უკანონო წესები, რომლებსაც ვხვდებით ლამის ყველა არჩევნებზე – ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება, მოსყიდვა, დაშინება, სხვადასხვა მანიპულირება... ამის აღკვეთის უფლებამოსილება აქვს მხოლოდ ხელისუფლებას. მის ხელშია პოლიცია, პროკურატურა, სასამართლო. **თუ რეალურად არ განხორციელდა ხელისუფლების ამ ორგანოების დეპოლიტიზება, თუ არ აღიკვეთა მათი მოქმედება მმართველი პარტიის მოთხოვნების შესაბამისად, არჩევნების რა სისტემაც არ უნდა შევქმნათ, შედეგი მაინც არ იქნება სანდო**.

ამ პირობებში, ერთადერთ შემთხვევაში არის შესაძლებელი ხელისუფლების შეცვლა – თუ ხელისუფლების მოწინააღმდეგე, ანუ ოპოზიციის მხარდამჭერთა რაოდენობა ბევრად აღემატება მმართველი პარტიის მხარდამჭერებს. თუ ოდნავ აღემატება, მაშინ მექანიზმები, რომლებიც მოქმედებს არჩევნების დღემდე, ხელისუფლებას საშუალებას აძლევს მიიღოს სასურველი შედეგი. **ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტი**.

აუცილებელია ამომრჩევლის გააქტიურება. მოსახლეობის ნაწილი ამაზე ნაკლებად რომ ფიქრობს, ეს აიხსნება ქვეყანაში არსებული მძიმე ეკონომიკური მდგომარეობით. თუმცა, ამ პირობებშიც კი ყველაფერი დამოკიდებულია ამომრჩეველზე. ხელისუფლების შეცვლის დიდი სურვილი თუ გაჩნდა ამომრჩეველში, შედეგებში დიდი სხვაობის შემთხვევაში, მმართველ პარტიას ვერ უშველის ვერც ადმინისტრაციული რესურსი, ვერც ამომრჩეველთა დაშინება.

ელექტრონული სისტემით არჩევნების დღეს რაც ხდება, იმის გაყალბება მინიმუმამდეა დაყვანილი. გაყალბების ხელშემწყობი დარჩა ადმინისტრაციული რესურსი, დაშინება, მოსყიდვა... ეს უშუალოდ ამომრჩეველზეა დამოკიდებული. **ვიმოქმედოთ სინდისის კარნახით. ჩვენზეა გადაწყვეტილების ბედი.**

„მაინც გაყალბდება" ნაწილობრივ აღარ არის სწორი შეფასება. რაც იგულისხმებოდა ამ ტერმინში - იმას ვეღარ გააკეთებენ. ხმებს ვეღარ „გადათვლიან". დანარჩენი ამომრჩევლის ხელთაა.

ევროკავშირის კანონმდებლობა ქვეყნებს უფლებას აძლევს დაადგინონ 5%-მდე ბარიერი არჩევნებში მანდატების გადანაწილებისთვის.

2012 წლის ნოემბრის რეზოლუციით ევროპულმა პარლამენტმა მოუწოდა ქვეყნებს, შემოიღონ შესაბამისი და პროპორციული მინიმალური ბარიერი, რათა „დაიცვან პარლამენტის ფუნქციონირება" შემდგომი ფრაგმენტაციის, დეპოლარიზაციისა და დაქსაქსულობის თავიდან ასაცილებლად.

ევროკავშირის ელჩმა საქართველოში, **პაველ ჰერჩინსკიმ** აღნიშნა, რომ ორი წლის წინ შარლ მიშელის შუამავლობით მიღწეული შეთანხმების ნაწილი იყო საარჩევნო ბარიერის 2 პროცენტით განსაზღვრა, რაც 9 რეკომენდაციიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანია.

პარლამენტის თავმჯდომარის შალვა პაპუაშვილის სიტყვებით, 5%-იანი ბარიერი საქართველოში პოლიტიკური პარტიების უმრავლესობისათვის მისაღებია.

თუ „დაკარგული ხმები" ანუ ამომრჩევლის ნაწილის არჩევანი - არც პოზიციას და არც ოპოზიციას აინტერესებს, შესაბამისად, მათთვის მისაღებია ახალ პარლამენტში ძველი სიტუაციის გადმოტანა - დომინანტური ორი პარტია და პოლარიზაცია მათ შორის.



საარჩევნო ბარიერის დაწევის მოთხოვნის გამო პარტიის „დაკნინება", წამოძახება, რომ ამას მხარდამჭერების სიმცირე და პარლამენტს გარეთ დარჩენის შიში ალაპარაკებს, არის პოლიტიკური მანიპულირება 5%-იანი ბარიერის სასარგებლოდ.

ყველაფერი დამოკიდებულია ამომრჩეველზე. არჩევნები ფარულია და ვერავინ გაიგებს ვის მიეცით ხმა!

არჩევნების დღეზე მეტად არჩევნები ყალბდება მანამდე, როცა ათასგვარი გზით ახდენენ გავლენას ამომრჩევლის ნებაზე.

ხელისუფლების შეცვლის დიდი სურვილი თუ გაჩნდა ამომრჩეველში, შედეგებში დიდი სხვაობის შემთხვევაში, მმართველ პარტიას ვერ უშველის ვერც ადმინისტრაციული რესურსი, ვერც ამომრჩეველთა დაშინება.

ქაღალდის, ლამინირებული პირადობები – კიდევ ერთი საარჩევნო ბერკეტი გაყალბებისათვის?

„ევროპელი სოციალისტების" დეპუტატი ფრიდონ ინჯია ითხოვს, მომავალ წელს საპარლამენტო არჩევნებში ხმის მიცემა ამომრჩევლებმა არაელექტრონული, ე.წ. ლამინირებული პირადობის მოწმობითაც შეძლონ. სხვა შემთხვევაში, მომავალ წელს საქართველოს ასიათასობით მოქალაქის კონსტიტუციური უფლება დაირღვევა, რადგან ელექტრონული პირადობისა და პასპორტის გარეშე ეზღუდებათ არჩევნებში მონაწილეობის შესაძლებლობა.

ინჯიას მხარს უჭერდა „ქართული ოცნება" და ცესკოს თავმჯდომარე გიორგი კალანდარიშვილი, თუმცა, მოგვიანებით, დაიგეგმა 2011 წლამდე გამოშვებული პირადობის მოწმობების გაუქმება. **ეს ნიშნავს, რომ თუ მოქალაქეები დოკუმენტებს არ განაახლებენ, ვერ შეძლებენ არათუ არჩევნებზე ხმის მიცემას, არამედ ვერც საბანკო მომსახურებებით სარგებლობას.**

„საერთაშორისო გამჭვირვალობის" საარჩევნო პროექტის კოორდინატორი გიგი ჩიხლაძე მიიჩნევს, რომ ძველი პირადობის მოწმობებით ხმის მიცემა არჩევნების სანდოობას მკვეთრად შეამცირებს თუმცა ძნელი სათქმელია – რამდენით: **„იუსტიციის სამინისტრომ ყველაფერი, აბსოლუტურად ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ წინა საარჩევნოდ ყველამ მიიღოს უფასო ელექტრონული პირადობის მოწმობა.** ასეთი აქციები ისედაც ყოველთვის არის ხოლმე წინასაარჩევნოდ. წინააღმდეგ შემთხვევაში სულ იქნებიან ადამიანები, ვისაც არა აქვთ ახალი პირადობის მოწმობა და იქნებიან პოლიტიკოსებიც, რომლებიც ეცდებიან გაახანგრძლივონ ამ მორალურად და ყველანაირად მოძველებული მოწმობით ხმის მიცემის შესაძლებლობა".

2014 წელს თეა წულუკიანი ლამინირებულ პირადობას ქაღალდის ნაგლეჯს უწოდებდა: „თუ ჩვენ გვინდა ვიყოთ დასავლეთის ტიპის სახელმწიფო, პირადობა არ უნდა იყოს ქაღალდის ნაგლეჯი, თუნდაც ლამინირებული. ეს უნდა იყოს გაუყალბებელი დოკუმენტი, რომელიც აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტს".

ლევან ნატროშვილი, „სამართლიანი არჩევნების" დირექტორის მოადგილე იხსენებს 2018 წელს, როდესაც პირადობის მოწმობებით გაყალბების შესახებ ინფორმაციაზე პროკურატურამ საქმეც კი აღძრა, 2012 წლის არჩევნების შემდეგაც დიდი რაოდენობით ყალბი პირადობის მოწმობები (არაელექტრონული) აღმოაჩინეს, რომლებიც სავარაუდოდ არჩევნებზე გამოიყენეს. **„რისკები იგივე რჩება, რადგან კვლავ ერთი პარტიის ხელშია სახელმწიფო უწყებები, მათ შორის ისინიც, რომლებიც დოკუმენტების დამზადებასა და არჩევნების ჩატარებაზეა პასუხისმგებელი".**

ინიციატივა ძველი პირადობის მოწმობების შესახებ საპარლამენტო კომიტეტმა უნდა განიხილოს.

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემებით, 2019 წელს უვადო, ქაღალდის (ე.წ. ლამინირებულ) პირადობის მოწმობას 400 000-მდე მოქალაქე ფლობდა. სავარაუდოდ, ეს რიცხვი შემცირებულია.

წყარო: რადიო თავისუფლება, ნეტგაზეთი



ინოვაციების და სამოქალაქო განვითარების ცენტრი „პროგრესის სახლი"

ჩანართი მომზადდა პროექტ „მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლება დემოკრატიული პროცესების მხარდასაჭერად" ფარგლებში. აღნიშნული პროექტი დაფინანსებულია (National Endowment for Democracy) NED-ის მიერ. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ ასახავდეს (National Endowment for Democracy) NED -ის პოზიციას.

NED NATIONAL ENDOWMENT FOR DEMOCRACY SUPPORTING FREEDOM AROUND THE WORLD